

გიორგი ლალიაშვილი

ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები თუშეთიდან

წინამდებარე სტატიაში განვიხილავ შემთხვევით მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას სოფელ ომალოდან. თუშეთში განასხვავებენ ორ – ზემო (იგივე კესელო) და ქვემო ომალოს.¹ განსახილველი მასალა აღმოჩნდა ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე, 2012 წელს, შემთხვევით. თუმცა, პირველი ცნობა სოფელში სამაროვნის არსებობის შესახებ 1989 წელს გაჩნდა, როდესაც მ. გულუხაძის სახლის მშენებლობისას გამოვლინდა, რამდენიმე კრემაციული სამარხი, უხვი ინვენტარით, სადაც წამყვანი ადგილი სამკაულს ეკავა. ეს არქეოლოგიური მასალა გამოუქვეყნებელია, თუმცა ერთ სტატიაში მოხსენიებული აქვს რ. დოლაბერიძეს [დოლაბერიძე 2004:128]. წინასწარული დათარიღებით, მკვლევარი მას ძ.წ. VII-V საუკუნეებს მიაკუთხნებს.

2012 წელს იმავე ქვემო ომალოში წვიმას ჩამოურეცხავს არქეოლოგიური მასალა: სატევარი, ცული და ქვის ქანდაკება. ეთნოლოგ ნუგზარ იდიოდეს ეს მასალა გადაუტანია კესელოს ციხის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც ის დღემდეა დაცული.²

იმავე წელს, საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა თუშეთში გააგზავნა დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია,³ რომლის მიზანს წარმოადგენდა არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენა-ფიქსაცია და სტაციონარული გათხრების წარმოებისათვის შერჩევა. სწორედ ამ ექსპედიციის მსვლელობისას აღმოჩნდა განსახილველი ინვენტარი.⁴

¹ ასეთივე სახელწოდების კიდევ ერთი სოფელი მდებარეობს კახეთში, პანკისის ხეობაშიც.

² ნუგზარ იდიოდის სიტყვიერი ცნობა. კესელოს ციხის მუზეუმში დაცულ მასალა-საც ბატონი ნუგზარის თავაზიანი ნებართვით ვაქვეყნება.

³ შემადგენლობა: ხელმძღვანელი – † პროფ. ვ. ვარაზაშვილი; წევრები: გ. ლალიაშვილი, დ. დარეჯანაშვილი, მ. მშევრდაძე, ნ. კაპანაძე, თ. მელაძე.

⁴ ეს მასალა ჩვენმა ექსპედიციამ ჩამოიტანა თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც, შემდგომ ის დედოფლისწყაროს ისტორიულ მუზეუმში მოხვდა და 2015 წელს, აღნიშნული მუზეუმის ფონდებში მუშაობისას შემთხვევით შეეხვდი. ჩემთვის უცნობია როდის და რა პირობებში აღმოჩნდა ის დედოფლი-სწყაროში. ასეა თუ ისე, ეს მასალა წლების განმავლობაში ელოდებოდა დღის სინათლეს. ამასთან, 2012 წლის ექსპედიციის ხელმძღვანელიც აღარ არის ამ ქვეყნად. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ გამოვაქვეყნო იგი.

აღმოჩენას, როგორც აღინიშნა, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა: სოფელში წყალსადენის მილის გაყვანისას გაჭრილ თხრილში, მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0.4-0.5 მ სიღრმეზე გამოვლინდა არქეოლოგიური კომპლექსები. იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ აღმოჩენის ადგილი მოვინახულეთ, კულტურული ფენა პრაქტიკულად განადგურებული იყო ხოლო ნივთები ადგილობრივ მცხოვრებთ შეუგროვებიათ და ჩვენ გადმოგვცეს. აღმოჩენის შემსწრე პირების გამოკითხვიდან გაირკვა, რომ მიწაში ჩადგმული ყოფილა თიხის ორი ჭურჭელი, რომელიც სავსე იყო ნაცრით, ამ ჭურჭლების ირგვლივ კი განლაგებული ყოფილა ინვენტარი. გადანაყარ მიწაში აიკრიფა ზემოთ ხსენებული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა შიდაპირს მართლაც ემჩნეოდა ნახშირისა და ნაცრის კვალი. ერთი მათგანი წითლად გამომწვარი, წმინდად განლექილი თიხისაა, მეორე კი ნაცრისფერკეციანი მსხვილმარცვლოვანი თიხის, სქელკედლიანი ჭურჭელი. სამწუხაროდ, ეს კერამიკული მასალა იმდენად დაზიანებული, ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, რომ აღდგენა ვერ მოხერხდა. ამიტომ, მათ ფორმებზე ვერაფერს ვიტყვი. არც აღმოჩენის ადგილზე და არც გადანაყარ მიწაში ძვლოვანი ნაშთები არ დადასტურებულა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, განსახილველი მასალა სამარხეული წარმომავლობისა უნდა იყოს. ამას მავარაუდებინებს ის ფაქტი, რომ აღმოჩენის ადგილიდან, მ. გულუხაიძის სახლამდე ორასიოდე მეტრია, სადაც 1989 წელს სამარხები აღმოჩნდა. ამავე ტერიტორიაზე აქვს ნაპოვნი ნ. იდონიეს ზემოთ ხსენებული სატევარი, ცული და ქანდაკებაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, არსებობს საფუძველი, რომ ომალოს ტერიტორიაზე ვრცელი სამაროვნის არსებობა ვივარაუდ და ეს მასალები ერთი სამაროვნის კონტექსტში განვიხილო. რაც შეეხება ნაცარ-ნახშირიან ჭურჭელს, შესაძლოა აქ კრემაციასთან გვქონდეს საქმე, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, დაკრძალვის რიტუალში რაღაც ფორმით ცეცხლის მონაწილეობა მაინც უნდა ვიგულისხმოთ. ასეთ ფაქტს, აქ აღმოჩენილ სამარხებთან რ. დოლაბერიძიეც ადასტურებს.

განსახილველი ინვენტარი წარმოდგენილია რკინის საბრძოლო იარაღით: შუბისპირები (2 ცალი), ხელშუბის პირები (2 ცალი) სატევრები (2 ცალი) და ცული. ბრინჯაოს ნივთებიდან გვაქვს საკისრე რგოლების ნატეხები; სამაჯურები; დიადემის ნატეხი; აბზინდები და ზოომორფული საკიდი.

იარაღი:

შუბისპირებს (ტაბ. I-3,6) მოგრძო, მრგვალგანივევეთიანი, პირთან გადასვლის ადგილზე დავინწროვებული მასრა და ვიწრო,

ქედიანი პირი აქვს. ორივე მათგანის მასრის ბოლო მოტეხილია, ერთს კი პირის დაბოლოვებაც აკლია.

ხელშუბისპირები (ტაბ. I-4,5) ფოთლისებური მოყვანილობისაა, ბრტყელი, უქედო პირით.

ცულს (ტაბ. I-2) ოთხნახნაგა, ბრტყელი ჩაქუჩისებრი ყუა, მრგვალი სატარე ხვრელი, გამოყვანილი წელი და სწორი პირი აქვს.

სატევრები (ტაბ. I-1,7) ერთი და იგივე ტიპისაა – ე.წ. „ანტენისებური“ თავებით, სწორი ტარითა და ვადიდან წვერისაკენ თანაბრად დავინროვებული პირით. ერთ მათგანს წვერი აკლია.

სამკაული:

საკისრე რგოლები (ტაბ. II-1-4) ოთხი ნატეხითაა წარმოდგენილი. ყველა მათგანს მრგვალგანივევეთიანი, წრიულად მორკალული სადა ღერო აქვს.

ყურადღებას იქცევს ერთი, საკისრე რგოლისა თუ დიადემის ნატეხი (ტაბ. III-1), რომელის მრგვალგანივევეთიანი გრეხილი ღერო ბოლოში დაბრტყელებულია და ზედაპირი შემქულია ამოკანწრული რომბებით.

პირობითად (მცირე დიამეტრის გამო) შეიძლება ვუნოდოთ სამაჯურები ორ ბრინჯაოს რგოლს (ტაბ. II-5,6). ორივე მათგანს მრგვალგანივევეთიანი, წრიულად მორკალული სადა ღერო აქვს. ერთის თავები გახსნილია, მეორის – შეკრული.

დიადემის ნატეხი (ტაბ. III-2) ოვალურგანივევეთიანი, წრიულად მორკალული ღეროა, რომელსაც დარჩილული აქვს წრიული ნახვრეტებითა და მათ ზემოთ სამკუთხედებით შემკული ფირფიტა.

აბზინდები ორგვარია: 1. მრგვალი ფორმის, კონუსურად ამოზიდული წყვილადი აბზინდა (ტაბ. II-7), რომელიც მოხრილი ღეროთი (გატეხილია შუაზე) ებძოდა ერთმანეთს. 2. მრგვალი ფორმის, შიგნიდან ბრტყელი, ზემოდან ამობურცული აბზინდა (ტაბ. III-4), კიდე შემკულია წერტილოვანი კუნუბებით.

ზომორფული საკიდი (ტაბ. III-3), გამოსახულება შესრულებულია ფირფიტაზე. შემორჩენილია ცხოველის თავი და კისერი (დანარჩენი ნანილი აკლია). ცხოველი გამოსახულია პროფილში. თვალი რელიეფურად არის გადმოცემული, კისრის ნაოჭები კი ამლარული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებით.

სხვა წვრილ, ბრინჯაოს უფორმო ნატეხებს შორის აღსანიშნავია შიგნიდან ბრტყელი, ოვალურზურგიანი ღეროს ნატეხები (ტაბ. II-8,9), რომელზეც ვერძის თავები ყოფილა მირჩილული. მეტისმეტი ფრაგმენტულობის გამო მის დანიშნულებაზე ვერაფერს ვიტყვი.

ამავე მასალებთან, უფრო ზუსტად №1 სატევართან და ცულ-თან ერთად, ამავე ტერიტორიაზე, როგორც ითქვა, 6. იდოიძეს ნაპოვნი აქვთ ქვის ანთროპომორფული ქანდაკება (ტაბ. I-8,9,10). ეს არის 85 სმ სიმაღლისა და 19 სმ დიამეტრის მქონე, მოგრძო ქვაში გამოკვეთილი ადამიანის სახე: ფართო ყვრიმალებით, სწორი ცხვირით, კეფაზე აზიდული თმით (თუ თავსაბურავი) და ზურგზე დაშვებული ნაწილებითა თუ თავსაბურავის ბოლოებით. საგულდაგულოდ არის დამუშავებული მხოლოდ ქანდაკების სახე და კეფის ნაწილი. ქვედა ნაწილი უხეშად არის გათლილი და სოლისებურად წამახული. ცხადია, რომ ის მიწაში ვერტიკალურად უნდა ყოფილიყო ჩასმული (დიდი ალბათობით საფლავზე აღმართული). აქედან გამომდინარე, ქანდაკების „მიწისქვეშა“ ნაწილი იმ დროს უხილავი იყო. ამიტომაც, ოსტატმა არ იზრუნა მისი ამ ნაწილის საგულდაგულოდ დამუშავებაზე.

წარმოდგენილი საძგერებელი (შუბისპირების) და სატყორცნი (ხელშუბისპირების) იარაღის მსგავსი ფორმები რეინის ფართო ათვისების ხანაში ყალიბდება. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მათ ახასიათებთ დიდი კონსერვატიულობა და არსებობენ დროის მეტად ფართო დიაპაზონში – ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში [ანჩაბაძე 2016:93].

ჩვენი ცულის მსგავსი იარაღი გავრცელებულია, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ამასთან, ისინი ვრცელდებიან დროის დიდ დიაპაზონში, მოყოლებული ადრეანტიკური ხანიდან ძ.წ. IV-III საუკუნეების ჩათვლით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათი ფორმირება მოხდა კოლხური ბრინჯაოს ცულების საფუძველზე და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიიდან გავრცელდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში [დავლიანიძე 1983:48-52, ლიტ. იხ. იქვე]. ომალოში აღმოჩენილი ცულის უშუალო ანალოგები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ადრეანტიკურ-ადრეელინისტური ხანის სამაროვნებიდან: აბულმუგიდან [ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008], შავსაყდარა I-დან [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:78], აგრეთვე, ქვემო და შიდა ქართლის მთელი რიგი პუნქტებიდან [დავლიანიძე 1984:50; შატბერაშვილი 2003].

ასე, რომ ზემოთ განხილული იარაღები დროის მეტად დიდ დიაპაზონში არსებობს, მათი მოშველიებით ჩვენი საკვლევი მასალის ვიწრო ქრონოლოგიის ნარმოდგენა არ ხერხდება. ამ თვალსაზრისით უფრო საყურადღებოა ანტენისებურ-თავიანი სატევრები. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის იარაღის არსებობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ზოგადად ძ.წ. VI-IV საუკუნეებით განსაზღვრავენ [ანჩაბაძე 2016:14, ლიტ. იხ. იქვე]. თუმცა, მათი ვიწრო ქრონოლოგიურ ჯგუფებად დაყოფისათვის,

მკვლევარები ყურადღებას აქცევენ ერთ ტექნიკურ დეტალს – ვადას, სადაც გამოყოფენ ე.წ. „თორკმლისებურ“, „პეპლისებურ“, „სეგმენტისებურ“, „ცრუსამკუთხა“ ფორმის ვადებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძ.წ. V საუკუნიდან, ე.წ. „პეპლისებური“ ვადა „ცრუსამკუთხა“ ფორმის ვადით იცვლება [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005; ანჩაბაძე 2016:14]. ჩვენი სატევრების ეს დეტალი, დაუანგვის გამო ცხადად აღარ იყითხება, თუმცა, ის მაინც, ყველაზე უფრო ე.წ. „ცრუსამკუთხა“ ფორმას წააგავს. აქედან გამომდინარე, თუ კი გავიზიარებთ ამ ტიპის იარაღის ზემოთ გადმოცემულ ქრონოლოგიას, მაშინ განხილული სატევრები არაუადრეს ძ.წ. V და არაუგვიანეს ძ.წ. IV საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. ამას არც ზემოთ მიღებული ცულის ქრონოლოგია ენინააღმდეგება და შესაძლებლად მიმაჩინა, რომ ომალოს განხილული საბრძოლო იარაღის კომპლექსი ძ.წ. V-IV საუკუნეებით დავათარილო. ასევე მისაღებად მიმაჩინა ეს ქრონოლოგია გავრცელდეს ბრინჯაოს სამკაულზეც, რადგან ის მოპოვებულია N7 სატევართან ერთად.

დიდ ინტერესს იწვევს ქვის ქანდაკება. ზემოთაც აღვნიშნე, რომ მისი ფორმა და დამუშავების თავისებურება მაფიქრებინებს, ის მიზაში ვერტიკალურად უნდა ყოფილიყო ჩასმული. ამასთან ნაპოვნია სამარხეულ მასალასთან (სატევარი, ცული) ერთად, რაც ბადებს აზრს, რომ სამარხზე იყო აღმართული. ასეთივე ქანდაკება (მხოლოდ ნაკლული – მოტეხილია ქვედა ნაწილი), შემთხვევითი მონაპოვრის სახით ცნობილია თუშეთის სოფ. შენაქოდან. ეს არტეფაქტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული (საინკვენტარო № 56-1976:1171).⁵

თუშეთის უშუალო ჩრდილო კავკასიურ სამეზობლოში - მთიან დალესტანსა და ჩეჩენეთში ცნობილი, ძ.წ. I ათასწლეულის სამარხეული ძეგლებიდან მსგავსი შემთხვევები არ არის არქეოლოგიურად დოკუმენტირებული [აბაკაროვ, დავუდოვ 1993; დაუთოვა, თანგიევ 2014]. თუმცა, 2018 წელს, თუშეთის მოსაზღვრე, დაღესტნის მთიან სოფელ ხუშეთში მოხდა შემთხვევითი აღმოჩენა,⁶ სადაც ერთად მოპოვებული იქნა: „დაფინის ფოთლისებური“ მოყვანილობის შებისპირი, ანტენისებურ თავიანი სატევარი ე.წ. „პეპლისებური“ ვადით და ანთროპომორფული ქვის ქანდაკება (ტაბ. IV 1-3). ამ უკანასკნელსაც, ომალოში მოპოვებული

⁵ ამის შესახებ ცნობა მომაწოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების კურატორმა, ვაჟა მამიაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენება.

⁶ აღმოჩენის შესახებ ცნობა და ფოთლისასალა მომაწოდა ეთნოლოგმა ნ. იდოიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენება.

ქანდაკების მსგავსად, ქვედა ნაწილი წათლილ-წამახული აქვს. აღნიშნული აღმოჩენა თავისი ხასიათით, ძალიან ჰგავს ომალოში მოპოვებულ მასალას. ამდენად, ვფიქრობ, აღნიშნულ მთავან რეგიონში (ცავკასიონის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი), განხილული შემთხვევითი მონაპოვრების სახით, ანტიკური ხანისათვის, საქმე გავაქვს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ უცხობ დაკრძალვის რიტუალთან, რომლის რაობის გარკვევაც მხოლოდ სათანადო კომპლექსების არქეოლოგიური გათხრა-დოკუმენტირების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამჯერად კი მხოლოდ იმ გარემოების აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდე, რომ კავკასიის ამ რეგიონში, ანტიკურ ხანაში სავარაუდოა სამარხზე ქვის ქანდაკების აღმართვის ტრადიციის არსებობა.⁷

ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, ქვის ქანდაკების აღმართვა დამახასიათებელია სკვითური ყორღანებისათვის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულ რეგიონში ძირითადად თავმოყრილია ქანდაკებათა ადრეული ჯავაფი (ძვ.წ. VII-VI სს). ძვ.წ. V საუკუნიდან, იქ ქანდაკებების აღმართვა იშვიათობა ხდება, ხოლო ძვ.წ. III ს-დან ეს ტრადიცია საერთოდ ქრება [Ольховский, Евдокимов 1994:76].

სამხრეთ კავკასიაში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, სამარხზე ქვის ქანდაკების აღმართვის ფატეტი დაფიქსირებულია გარეჯის უდაბნოში, ზეიანის ყორღანულ ველზე გათხრილ N3 გორასამარხში. თუმცა ის გაძარცვული აღმოჩნდა და არქეოლოგიური კონტექსტით (გნებავთ აღმოჩენის პირობების მიხედვით) დათარიღება არ ხერხდება [ფიცხელაური, ვარაზაშვილი 1988:48]. ამ აღმოჩენას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნეს ოლღა დაშეესკაიამ და გურამ ლორთქიფანიძემ. მხატვრული ანალიზისა და მთელი რიგი პარალელების საფუძველზე, მეცნიერები მას სკვითური ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევენ და ძვ.წ. VII-VI სს.-ით ათარიღებენ [Дашевская, Лорткипаниძე 1995: 89-93].

საერთოდ, სამარხზე ქვის ქანდაკების აღმართვა ძალზე დამახასიათებელია სკვითური სამყაროსათვის. ამ ტრადიციას ვხვდებით მათი განსახლების ძირითად არეალში – დუნაისპირეთიდან მოყოლებული, უკრაინის, სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ჩათვლით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი რეგიონი უნდა ყოფილიყო სკვითური მონუმენტური სკულპტურის ფორმირების კერა [Ольховский, Евдокимов 1994:76].

⁷ საინტერესოა, რომ საფლავზე სანიშნე ქვის აღმართვის ტრადიცია XX ს-ის 20-30-იან წლებამდე იყო შემორჩენილი თუშეთში. სამარხის თავში ვერტიკალურად ჩასმული ფილები, ზედ გამოსახული ანთროპომორფული სიმბოლოებით, დღემდებარებით შემორჩენილი სოფ. ომალოს, დართლოს, დანოსა და ფარსმის სასაფლაოებზე.

განხილული შემთხვევითი აღმოჩენებიც, ერთი შეხედვით თითქოსდა სკვითურ სამყაროზე მიგვანიშნებენ (ქვის ქანდაკებები, აკინაკისებური სატევრები). თუმცა, ვფიქრობ, კვლევის ამ ეტაპზე ძნელია ისინი სკვითურ ეთნო-კულტურულ სამყაროს დავუკავშიროთ. პირველ რიგში იმიტომ, რომ თუშეთისა და მთიანი დაღესტნის ლანდშაფტი და ბუნებრივი პირობები სრულიად შეუფერებელია სკვითთა სამეურნეო-კულტურული ყოფისათვის და შესაბამისად მათი ინტენსიური განსახლებისათვის. გარდა ამისა, თუშეთსა და დაღესტანში მოპოვებული სკულპტურული ნიმუშები მთელი რიგი ნიმუშებით განსხვავდება სკვითური ქან-დაკებებისაგან. ამ უკანასკნელთ, როგორც წესი ახასიათებს ნატურალური ზომა. ასევე, თითქმის აუცილებელი ატრიბუტია იარალის (აკინაკი, საბრძოლო ცული) გამოსახვა [იხ. Петренко 1989: табл 40; Ольховский, Евдокимов 1994; Дашевская, Лорткипаниძე, 1995]. ამრიგად, ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში, სამარხზე ქვის ქანდაკების აღმართვის ტრადიციის გენეზისის საკითხი, ჯერ კიდევ მოითხოვს კვლევას და ცალსახა, კატეგორიული ხასიათის დასკვნების გაკეთება, ამ ეტაპზე ნაადრევეთ.

ცალკე პრობლემაა ომალოს სამაროვანზე დაკრძალვის წესის ატრიბუციის საკითხი. 1989 წლის აღმოჩენასთან დაკავშირებით რ. დოლაბერიძე მხოლოდ იმ ფაქტს აღნიშნავს, რომ სამარხები კრემაციული იყო და არ აკონკრეტებს რა სახის იყო ის: კრემაციული მოედანი, თიხის ურნებით დაკრძალვა თუ სხვ. ჩვენ, როგორც ითქვა, არ მოგვეცა აღმოჩენილი კომპლექსის არქეოლოგიური გათხრა-დოკუმენტირების საშუალება და დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონანილეობას (რომელიც ყოველთვის არ გულისხმობს კრემაციას)⁸ ვვარაუდობ მხოლოდ ზოგადი არქეოლოგიური სიტუაციის მიხედვით (იხ. ზემოთ).

⁸ საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX-XX ს-ის დამდევის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თუშეთში დაკრძალვის რიტუალში ცეცხლი დიდ როლს თამამობდა. დასაფლავებამდე მიცვალებულს ეზოში უნთებდნენ სარიტუალო კოცონს (თვით მიცვალებულიც ეზოში უნდა ყოფილიყო დასკვნებული და არა სახლში). სიფლის ყველა შამაცაცი ვალდებული იყო ამ კოცონისათვის თითო ხელი შეშა მიეტანა. ამგვარ რიტუალის არსა ის იყო, რომ თუშების რწმენით, „სასულეოთში“ ახლად გარდაცვლილისა და მისი ნათესავ-მეზობლების სულები გამთბარიყვნენ [ცოცახიძე 1990: 115]. დაკრძალვის შემდეგაც, სამი ღამის განმავლობაში საფლავზე ცეცხლი უნდა ნოებულიყო [ბოჭოიძე 1993: 304]. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, შუა საუკუნეთა ხანაშიც, დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონანილეობა არქეოლოგიურდ დადასტურებულია [რჩეულიშვილი 1990: 77; მინდორაშვილი 2005: 49-50]. ამას უკავშირებები წინასარ საფლავის ცეცხლით განმეოდას უწმინდური და ავი სულებისაგან [ბარდაველიძე 1941: 82; გორგაძე 1987: 24].

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, თუშეთის მომიჯნავე მხარებში (მთიანი და დალესტანი, ჩეჩენეთი, ხევსურეთი⁹) კრემაციის წესის არსებობა არქეოლოგიურად ჯერჯერობით დადასტურებული არ არის [აბაკაროვ, დავუდოვ 1993; დაუთოვა, თანგიევ 2014].

რაც შეეხება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას, აქ ძვ.წ. I ათასწლეულში ძირითადად ინჰუმაცია იყო გაბატონებული. თუმცა, გვაქვს ცალკეული შემთხვევები კრემაციული წესით დაკრძალვისაც. ის გვხვდება ბორჯომის ხეობის ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვნებზე [კვირკვაია 2009:17]. კრემაციის ერთეული შემთხვევები დადასტურებულია ასევე ლორი-ბერდში (სომხეთი – ტაშირ-ძორაკეთი) შესწავლილ ამავე პერიოდის სამარხებში [დევედჯიან 1981:59-60]. ომალოს მასალებთან გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურადაც ყველაზე ახლოსაა კახეთის ბარში - ნეკრესის ნაქალაქერის ტერიტორიაზე დადასტურებული ადრეელინისტური ხანის კრემაციული სამაროვანი [ჭილაშვილი 2000:73]. ეს არქეოლოგიური ფაქტი, შესაძლოა გარკვეული მინიშნება იყოს ძველთაგანვე თუშეთისა და კახეთის ბარის მჭიდრო კონტაქტებისა. ამას თუშეთის ტრადიციული მეურნეობის ხასიათი - მომთაბარე მეცხვარეობაც მაფიქრებინებს, რომელიც მუდმივ კონტაქტს გულისხმობს კახეთის ბართან. გამოთქმულ ვარაუდს აძლიერებს ის გარემოებაც. რომ განხილული იარაღი (შუბისა და ხელშუბისპირები, ბრტყელყუიანი ცული), შეუდარებლად მეტ სიახლოვეს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილ მასალასთან, ვიდრე იმავე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთსა თუ მთისწინეთის ძეგლებიდან მომდინარე ინვენტართან. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ომალოში ჯერ კიდევ არ არის არც ერთი კომპლექსი სათანადოდ გათხრილ-დოკუმენტირებული, გამოთქმული აზრი ჯერჯერობით ჰიპოთეზის დონეს ვერ გასცდება.

თუშეთის დღევანდელი არქეოლოგიური შესწავლის დონეზე, შეუძლებელია ერთნიშნა, დამაჯერებელი ჰასუხის გაცემა იმაზე, თუ ანტიკურ ხანაში რომელ ეთნოკურ ელემენტს ეკავა ეს ტერიტორია. წერილობითი წყაროების ცნობებიც ერთობ მნირია. ეთნონიმი თუში „ტუსკის“ ფორმით პირველი „შაველიშვილი წერს, რომ ეთნონიმი თუში „ტუსკის“ ფორმით პირველად ჰქონდოლესთან იხსნიება [შაველიშვილი 1987:7]. თუმცა წყაროს არ უთითებს. ჰეროდოტეს „ისტორიის“ ქართულ თარგმანში ამ ეთნონიმს მე ვერ მივაკვლიყ. იხ. ჰეროდოტეს „ისტორია“, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, თბ., 1975 წ.

⁹ ხევსურეთის შესახებ ცნობა მომანოდა არქეოლოგმა გიორგი გოგოჭურმა, რისტვისაც მადლობას მოვახსენებ.

¹⁰ ეთხოლოგი ა. შაველიშვილი წერს, რომ ეთნონიმი თუში „ტუსკის“ ფორმით პირველად ჰქონდოლესთან იხსნიება [შაველიშვილი 1987:7]. თუმცა წყაროს არ უთითებს. ჰეროდოტეს „ისტორიის“ ქართულ თარგმანში ამ ეთნონიმს მე ვერ მივაკვლიყ. იხ. ჰეროდოტეს „ისტორია“, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, თბ., 1975 წ.

კლავდიოს პტოლემაიოსთან [ლომოური 1955], რომელიც მათ აკუთხნებდა აზის სარმატებს. ამაზე პროფ. სერგი მაკალათია შენიშნავდა, რომ „ამ შემთხვევაში პტოლემაიოსი ემყარებოდა თუშეთის მხოლოდ გეოგრაფიულ მოხაზულობას თუ აგრეთვე მისი მოსახლეობის პოლიტიკურ და ისტორიულ-ეთნოლოგიურ დაჯგუფებას, ამაზე ცნობების უქონლობის გამო მოსაზრების გამოთქმა ძნელია“ [მაკალათია 1983:18]. ჩემი აზრით, ძველი გეოგრაფის მიერ თუშებისა და მათი მეზობელი მთიელი ტომების მიკუთხნება სარმატებისადმი, გულისხმობს არა ეთნიკურ, არამედ გეოგრაფიულ და სოციალ-ეკონომიკურ შინაარსს. ხალხების მსგავსი ნიმინით დაჯგუფებას ვხვდებით სტრაბონთანაც. იბერიის აღნერისას ის აღნიშნავს, რომ ბარში მცხოვრები იბერიელები არმენიელთა და მიდიელთა ყაიდაზე ეწყობიან და მიწათმოქმედებას ეწვიან. ხოლო მთაში მცხოვრები ბუნებისანი არიან და სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე ცხოვრობენ, რომელთა მეზობლები და ნათესავებიც არიანო [ყაუხეჩიშვილი 1957:128]. აქედან გასაგებია, რომ ძველი აგვიტონები, რომელიც არ იცნობდნენ კავკასიის მთიელებს, ვერც განსაზღვრავდნენ მათ ეთნიკურ ვინაობას და ცხოვრების წესის (მეურნეობა, სოციალ-ეკონომიკური ვითარება) მიხედვით აკუთხნებდნენ ამა თუ იმ ეთნიკურ სამყაროს.

თუშეთის პოლიტიკური კუთვნილებისა და იქნებ ეთნიკური შედეგენილობის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული „ქართლის ცხოვრებაში“, საიდანაც ვიგებთ, რომ მეორე ფარნავაზიან მეფეს – საურმაგს ჩრდილოეთ კავკასიოდან გადმოუყვანია დურძუკები (ვაინახური ტომები) და დაუსხავს დიდოეთიდან ეგრისამდე. ამ ცნობის მიხედვით, ვაინახური ტომების გადმოსახლების არეალში შედის თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი: თუშეთის, ხევსურეთის, ხევისა და შესაძლოა მთიანი რაჭის ტერიტორიაც (დიდოეთიდან ეგრისამდე – ე.ი. დაღესტნიდან სვანეთამდე). ეს ცნობა საყურადღებოა იმდენად, რამდენადც აღნიშნული ტერიტორიები ცალსახად ქართლის სამეფოს კუთვნილად მოიაზრება. წინააღმდეგ შემთხვევაში საურმაგი სხვის სამფლობელოში, ანდა მის კონტროლს გარეთ მდებარე ტერიტორიაზე ვერ დაასახლებდა მთიელ ტომებს. გარდა ამისა, აქ ხაზგასმულია უცხო ეთნიკური ელემენტის შემოსვლა ამ ტერიტორიაზე, რადგან ჩრდილო კავკასიელთა გადმოსახლებამდე ის რასაკვირველია არ იყო უდაბური. ის, რომ თუშეთი არაუგვიანეს ბრინჯაოს ხანიდან იყო ათვისებული ადამიანის მიერ, დასტურდება მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტყველი შემთხვევითი აღმოჩენებით [მაკალათია 1983:17].

მოსულებისა და დამხვდურების ეთნიკური ურთიერთმიმართების საკითხზე, კვლევის ამ ეტაპზე კატეგორიული ხასიათის დასკვნის გაკეთება წაადრევია. მაგრამ, თუშეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემების გააზრებისას აუცილებლად უნდა მიეცეს ყურადღება დაღესტანში შემონახულ, თუშების აღმნიშვნელ ეთნონიმს - „მოსოქ“. ეს პირდაპირი ტრანსკრიფციაა ქართული „მოსხ-მესხ“-ისა. თანაც ამ დასახელებაში შენახულია უძველესი, მეგრულ-ჭანური გამოთქმა - „მოსხ“. ასეთივე ფორმით იხსენიებენ მესხებს ჰეროდოტე და პეკატეოს მილეტელი [ჯავახიშვილი 1960:401-402]. აქედან ცხადია, რომ თუშების აღსანიშნავად დიდოელებთან ეთნონიმ „მოსხ-მოსოქ“-ის დამკვიდრება არ არის ახალი მოვლენა და ის არაუგვიანეს ანტიკურ ხანაში მაინც უნდა ვიგულისხმოთ.

ამრიგად, ერთი მხრივ ის გარემოება, რომ ელინისტური ხანიდან, თუშეთის ტერიტორია ქართლის სამეფოს საზღვრებშია, მეორე მხრივ კი ის, რომ მეზობელი ხალხი თუშებს ერთ-ერთი ქართული ტომის არქაული სახელწოდებით იცნობს, უდავოდ მიუთითებს თუშეთისა და მისი მოსახლეობის ერთობაზე ქართულ ეთნო-პოლიტიკურ ორგანიზმთან, ქართლის სამეფოს შექმნის საწყისი ეტაპიდანვე.

ასეთია ის მოსაზრებები, რაც წარმოდგენილი მასალის გაანალიზებისას ჩნდება. თუმცა, აქვე მრავალი პრობლემა იყრის თავს, დაწყებული ომალოს სამაროვნის ატრიბუციით, – თუშეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემებით დამთავრებული. მთელ რიგ კითხვაზე კი ამ ეტაპისთვის პასუხი არ არსებობს. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს სხვა კუთხებთან შედარებით, თუშეთი ყველაზე უფრო ნაკლებად არის არქეოლოგიურად შესწავლილი. შესაბამისად, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ადგილობრივი მატერიალური კულტურის თავისებურებანი და მოკლებულნი ვართ საშუალებას დამაჯერებლად ვიმსჯელოთ მის მიმართებაზე საქართველოსა თუ კავკასიის სხვა რეგიონების კულტურასთან. ამიტომაც, აუცილებელია მეტი ყურადღება და-ეთმოს ამ მეტად საინტერესო კუთხის არქეოლოგიურ შესწავლას, რაც ძვირფასი მასალების მომცემი იქნება საქართველოსა და კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური პრობლემების უკეთესად გასააზრებლად.

Георгий Лагиашвили

Археологические материалы античного периода из Тушети

Резюме

В статье рассматриваются случайные археологические находки из Тушетии (высокогорная сторона восточной Грузии). Нахodka представлена железным оружием (Кинжалы, наканечники копье, топор), С бронзовыми украшениями и каменные скульптуры (I-III Tab.). Высказано предположение, что эти материалы имеют погребальное происхождение. На основании параллелей, выявленных на Кавказе, эти археологические материалы датировано V-IV вв. до н.э. Также сделано предположение, то, что в указанный период в горах восточного Кавказа, существовала традиция возводить на могиле каменные изваяния.

Giorgi Laghiashvili

Archaeological materials from Tusheti

Summary

The article discusses occasional archeological discoveries from Tusheti (Easternmost highland area of Georgia). The discovery is represented by iron weapons (daggers, spearheads, axes), bronze jewelry and stone sculptures. The opinion was expressed that materials are grave goods. According of the parallels found in the Caucasus, these archeological materials can be dated back to V-IV cc BC. We also can suggest that during this period in the mountains of the eastern Caucasus, there was a tradition to erect tombstone sculptures.

ლიტერატურა

ანჩაბაძე 2016: ი. ანჩაბაძე, შეიარაღება ანტიკური და ადრე-შუასაუკუნეების იბერია-კოლხეთში. არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ხელნაბეჭდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

ბარდაველიძე 1941: ვ. ბარდაველიძე ქართული ხალხური რელიგიური აზროვნების ისტორიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941.

ბოჭოიძე 1993: გ. ბოჭოიძე, თუშეთი. თბილისი, 1993.

გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005: გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხერდო ისტორიის საკითხები. თბილისი 2005.

გიორგაძე 1987: დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი, 1987.

დავლიანიძე 1984: ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი, 1984.

დოლაბერიძე 2004: რ. დოლაბერიძე, სამაროვანი, ომალო. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 2. თბილისი, 2004.

კვირკვაია 2009: რ. კვირკვაია, ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს). არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ხელნაბეჭდი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

ლომოური 1955: ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო”. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბილისი, 1955.

მაკალათია 1983: ს. მაკალათია, თუშეთი. თბილისი, 1983.

მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: ს. მარგიშვილი, გ. ნარიმანიშვილი, ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 2004.

მინდორაშვილი 2005: დ. მინდორაშვილი, არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი, 2005.

რჩეულიშვილი 1990: გ. რჩეულიშვილი, ფშავის არაგვის ხეობის

არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1990.

ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008: თ. ხოხობაშვილი, მ. ძნელაძე, აბულ-მუგის ანტიკური ხანის სამაროვანი (ძვ.წ. IV-III სს). თბილისი, 2008.

შავხელიშვილი 1987: ა. შავხელიშვილი, თუშეთი. თბილისი, 1987.

შატბერაშვილი 2003: ვ. შატბერაშვილი, IV-III საუკუნეების საბრძოლო იარაღიანი სამარხები სამხრეთ-ადმოსავლეთ საქართველოდან. „იბერია-კოლხეთი“ №1. თბილისი, 2003.

ცოცანიძე 1990: გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე. თბილისი, 1990.

ფიცხელაური, ვარაზაშვილი 1988: კ. ფიცხელაური ვ. ვარაზაშვილი, ზეანის გორასამარხი №1. გარეჯი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები № VIII, თბილისი, 1988.

ჭილაშვილი 2000: ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი წარწერები და ქართული დამწერლობის წარმოშობის ისტორიის საკითხები. თბილისი, 2000.

ყაუხჩიშვილი 1957: სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957.

ჯავახიშვილი 1960: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნიგნი 1, თბილისი, 1960.

Абакаров, Давудов 1993: А. Абакаров, О. Давудов, Археологическая карта Дагестана. Москва, 1993.

Даутова, Тангиев 2014: Р. Даутова, М. Тангиев, Шаройский могильник (Чечня, р. Щаро-Аргун). Материалы Международной научной конференции - Е.И. КРУПНОВ И РАЗВИТИЕ АРХЕОЛОГИИ СЕВЕРНОГО КАВКАЗА. Москва, 2014.

Дашевская, Лорткипанидзе 1995: О . Дашевская, Г. Лорткипанидзе, Скифское изваяние Из Восточной Грузии. Историко-археологический альманах, I, Москва, 1995.


Деведжян 1981: С. Деведжян, Лори-Берд, 1. Ереван, 1981.

Ольховский, Евдокимов 1994: В. Ольховский, Г. Евдокимов., Скифские скульптуры VII-III вв. До н.э. Москва. 1994.


Петренко 1989: В. Петренко, Скифская каменная скульптура. Археология СССР// Степи европейской части СССР в скифо-сарматское время. Москва, 1989.

ტაბულების აღწერა


- I. 1,2 სატევარი და ცული, 6. იდოიძის მონაპოვარი – კესელოს ციხის ეთნოგრაფიული მუზეუმი. 3,6 – შუბისპირები; 4-5 – ხელშუბის პირები, 7 – სატევარი – დედოფლისწყაროს ისტორიული მუზეუმი; 8 – ქვის ქანდაკება en fase; 9 – იგივე, პროფილი; 10 – იგივე, ზურგი. – კესელოს ციხის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- II. 1-4 – საკისრე რგოლების ნატეხები; 5-6 – რგოლები; 7 – წყვილადი აბზინდის ნატეხები; 8-9 – გაურკვეველი ნივთი ვერძის თავის გამოსახულებით. – დედოფლისწყაროს ისტორიული მუზეუმი.
- III. 1-2 – დიადემების (?) ნატეხები; 3 – ზოომორფული საკიდი; 4 – აბზინდა. – დედოფლისწყაროს ისტორიული მუზეუმი.
- IV. 1-4 – ხუშეთში (მთიანი დაღესტანი) აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა: 1-2 – ქვის ქანდაკება; 3 – შუბისპირი; 4 – სატევარი; 5 – შენაქოში მოპოვებული ქანდაკების ნაწილი – საქართველოს ეროვნული მუზეუმი.



10 sm



ტაბ. II Tab.



8

9



1



2



3



4

